



სტრატეგიის საზოგადოება და საერთაშორისო ურთიერთობათა ქართული ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

58

თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები

გია ჯანდიერი

ექსპერტის აზრი



2016



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გია ჯანდიაერი

თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები

58

2016

მოკლე ანოტაცია

თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტ-კომუნისტური ერის ეკონომიკურ გაჯანმრთელებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველო გრძელვადიან და ღრმა კრიზისში გაეხვა და მისი ეკონომიკა, მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, 70 პროცენტზე მეტით დაეცა.

მანამდე, თითქმის 70 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკის ნაწილი იყო. ყველა გადაწყვეტილება ჯერ კომუნისტური პარტიის ლიდერების, შემდგომ კი მოსკოვში ცენტრალური მთავრობის მიერ მიიღებოდა. ფასები, ხარისხი, რაოდენობა, დიზაინი და, საერთოდ, ეკონომიკური აქტოვობის ყველა საკითხი ცენტრში უნდა გადაწყვეტილიყო. ეს ასევე ნიშნავდა, რომ ცენტრალური მთავრობა ფლობდა ძალაუფლებას, თავად გადაეწყვიტა, თუ რომელ საწარმოს რა პროდუქცია უნდა შეექმნა და რომელი მომხმარებლისთვის.

საბჭოთა კავშირი დახურული ერი იყო "რკინის ფარდის" უკან. ყველა საწარმო სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ისინი მთლიანად მის რესურსებსა და ბრძანებებზე იყო დამოკიდებული. პროდუქციის ექსპორტი ძალიან შეზღუდული იყო და მხოლოდ ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლდებოდა. ასევე ძლიერ შეზღუდული იყო იმპორტული საქონელიც, რომელიც ძირითადად საბჭოთა კავშირის სატელიტი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებიდან შემოდებოდა და ცენტრალურად ნაწილდებოდა. საბჭოთა მოქალაქეებს მხოლოდ ქვეყნის მეგობარ სახელმწიფოებში ჰქონდათ ნებადართული მოგზაურობა, რაც ასევე მკვეთრად შეზღუდული იყო.

ამ პირობებში საბჭოთა ეკონომიკამ შეწყვიტა განვითარება. შეჩერდა ხარისხის, ტექნოლოგიებისა და შრომის კვალიფიკაციის გაუმჯობესება. საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ყველა მისი პროდუქცია *ბოროტების იმპერიის* მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი და, ძირითადად, პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ნაკარნახევი. კონკურენციის და გლობალურ ბაზრებზე მუშაობის გამოცდილების არარსებობამ საქონლის ხარისხი ძალიან გააუარესა. განვითარებულმა არაოფიციალურმა ეკონომიკამ ცხოვრების ხარისხის ოდნავ გაუმჯობესებას შეუწყო ხელი, მაგრამ სანაცვლოდ მოსახლეობა კორუფციასა და რესურსების მოსაპოვებლად ქრთამების აღებ-მიცემობაში ჩაფლული აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთ ეკონომიკას ცხოვრების გახანგრძლივების არანაირი შანსი არ ჰქონდა. აღარავის აინტერესებდა ქართული საწარმოების სამრეწველო მასალებით მომარაგება, ან მათი დაბალხარისხიანი პროდუქციის შექმნა. არ ჰქონდა რა უცხოეთში ვაჭრობის გამოცდილება და არ ყავდა რა უცხოელი პარტნიორები, საქართველოსთვის არა მარტო ექსპორტი იყო პრობლემური, არამედ ისეთი ყველაზე აუცილებელი საქონლის იმპორტიც კი, როგორცაა საკვები და საავტომობილო საწვავი.

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა უეცრად უმუშევრებად იქცნენ. მეწარმეობის ძალიან მწირი გამოცდილების გამო ეკონომიკის თანამედროვე რელსებზე გადაყვანა ძნელი იყო. მიუხედავად კერძო საკუთრების ცნობისა და პრივატიზების პროცესის დაწყებისა, კერძო სექტორი ძალიან სუსტად იყო წარმოდგენილი, რისი მიზეზიც ბიზნესსა და ხელშეკრულებით ურთიერთობებში მოქმედების გამოუცდელობა იყო. ინვესტირება კი ქვეყანაში, რომელსაც გაუგებარი წესები და დაბალი შრომის ხარისხის მუშახელი ყავდა, მომხიბვლელად არ გამოიყურებოდა.

ეკონომიკური შემცირება ასევე მხარდაჭერილი იყო რუსეთის ენერგეტიკული ბლოკადით. ბუნებრივი გაზის და ელექტროენერჯის მიწოდება ხელოვნურად შეიზღუდა ერთ დეკადაზე მეტი ხნით. მიწოდება ხორციელდებოდა მხოლოდ რუსეთის საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის და სომხეთში ტრანზიტის ფარგლებში.

ამ პირობებში საქართველოს სასიცოცხლოდ ჭირდებოდა ახალი პარტნიორები და შესაძლებლობები, საკვების და მთავარი სამომხმარებლო საქონლის მიწოდების უზრუნველყოფა. ასეთი მხარდაჭერა სწრაფად გამოჩნდა თურქეთიდან, რომელიც რამდენიმე წელიწადში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პარტნიორი და ინვესტორი გახდა. მომავალი ორი დეკადის განმავლობაში 1995 წლიდან თურქულ-ქართული ვაჭრობა საშუალოდ საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 15 პროცენტს აღწევდა და 2014 წლისათვის 2 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. თურქულმა მხარემ 1 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი ინვესტიცია განათავსა ქართულ ეკონომიკაში.

მრავალი ნაბიჯი გადაიდგა ურთიერთობათა გასამყარებლად: ხელი მოეწერა 76 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას ვაჭრობის თავისუფლების, ვიზების ფასილიტაციის და გაუქმების, საბაჟო და გადასახადების, საზღვრის გადაკვეთის პროცედურების, ბუნებრივი გაზის და ნავთობის მილსადენების, მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების და რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ და სხვ. შაკ-დენიზის ბუნებრივი გაზის მილსადენმა საქართველოს საშუალება მისცა

მისი ენერჯის მომარაგების დივერსიფიკაციისთვის და რუსულ წყაროებზე დამოკიდებულების გაუქმებისთვის. თურქულმა კომპანია TAV-მა ძალიან ეფექტიანი კონტრიბუცია გააკეთა ორი ქართული აეროპორტის რეკონსტრუქციაში თბილისსა და ბათუმში, რომლებიც გადაიქცნენ მცირე, მაგრამ ეფექტიან მრავალ ევროპულ და აზიურ აეროპორტთან დაკავშირებულ სატრანსპორტო ჰაბად, რამაც საქართველოში მოგზაურობა გაცილებით უფრო კომფორტული გახადა, ვიდრე მანამდე იყო. მრავალი თურქი მოქალაქე იყენებს ბათუმის აეროპორტს სამოგზაუროდ, თუ ისინი საზღვართან ახლოს, ჰოვას რეგიონში ცხოვრობენ.

თურქული მხარდაჭერის როლი სასიცოცხლო იყო ახალი ქართული ეკონომიკის შექმნაში საქონელთან და რესურსებთან მიწვდომადობის უზრუნველყოფის კუთხით, მისი შემდგომი განვითარების წახალისებისათვის.

თურქულ-ქართული ეკონომიკური თანამშრომლობა

საქართველოს დამოუკიდებლობა


საქართველო, რომელიც 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ძალის გამოყენებით გააერთიანეს საბჭოთა კავშირში, რომლის ნაწილიც ის 1991 წლამდე იყო. 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობამ ყველა გამოწვევა და სიძნელე გამოსცადა, რომელიც შეიძლება ახალგაზრდა სახელმწიფოს გადაეტანა. დამოუკიდებლობა დასაწყისიდანვე აჯანყებითა და სამოქალაქო ომით დაიწყო თბილისში და პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას და მისი მთავრობის გადაყენებით დამთავრდა; 1992-1993 წლებში საქართველომ ასევე სხვა შიგა (თუმცა გარედან ნასაზრდოები) კონფლიქტები გადაიტანა, რომლის შედეგად ტერიტორიის ორ დიდ ნაწილზე კონტროლი დაკარგა.

მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ფაზა იყო პრობლემებისა, რომელსაც შეხვდა ახალგაზრდა სახელმწიფო - ეკონომიკური აქტივობა მრავალი სხვადასხვა მიზეზის გამო სარეკორდო მაჩვენებლებამდე შემცირდა, რაც მსოფლიოში იშვიათად მომხდარა მშვიდობიან დროს. მსოფლიო ბანკის დათვლით, ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი 1980-იანი წლების საუკეთესო დონის მიმართ 75 პროცენტით დავარდა; უმუშევრობამ 70-80 პროცენტს მიაღწია. გრაფიკი A ქვემოთ აჩვენებს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავლის დინამიკას ერთ მოსახლეზე ppp¹ გადათვლით 1990-2013 წლებში²

¹ Purchasing Power Parity - მსყიდველობითი ძალის პარიტეტი - შესაბამისი ფასებით გადათვლა

² ინფორმაცია: The World Bank Group

გრაფიკი A. მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეზე ppp გადათვლით, 1990-2013 წლებში, World Bank Group.



ფაქტობრივად, საქართველოს ეკონომიკა დაეცა მის ნამდვილ ღირებულებმდე, ანუ მისი აქტივების და ადამიანური კაპიტალის საბაზრო ღირებულებამდე. აქ ჩამოვთვლი ამ კრიზისის ზოგიერთ მთავარ მიზეზს:

1. ვაჭრობის გამოცდილების არქონა და პარტნიორების დეფიციტი;
2. წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი;
3. მომუშავეთა დაბალი პროდუქტიულობა და არასაკმარისი უნარები;
4. ენერჯის მიწოდების ჩავარდნა და რუსული ბლოკადა;
5. საწარმოების ძველი, ვადაგასული ტექნოლოგიები და მოწყობილობები და არაკონკურენტუნარიანი აგრარული წარმოების მეთოდები;
6. შინაური კონფლიქტები, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და არასტაბილობა.

დარჩენილი მუშავე საწარმოები ვერ ყიდდნენ საკუთარ პროდუქციას, ვინაიდან ყოფილ საბჭოთა პარტნიორებს აღარ სურდათ ყიდვა და ახალი პარტნიორები არ არსებობდნენ. ასევე შეწყდა საწარმოო პროდუქციის მიწოდება საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებიდან. ყველაზე უარესი სიტუაცია შეიქმნა საკვებისა და სხვა აუცილებელი სიკეთის სექტორებში, მათ შორის ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის (და სახლების გათბობის) მიმართულებით; პირადი ავტომობილების მფლობელებმა მრავალი წლით ან თვეებით შეაჩერეს საკუთარი ტრანსპორტით სარგებლობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტი ან დაზიანებული იყო, ან პრივატიზებულ იქნა.

უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირდა და, შედეგად, საქონლის იმპორტის შესაძლებლობაც. 1993 წელს რუსეთის ფედერაციამ შეაჩერა საბჭოთა რუბლის გამოყენება და ნაცვლად შემოიღო რუსული რუბლი, რომელმაც ინფლაციის იგივე გზა გააგრძელა. იგივე დემართა ახლადშექმნილ ქართული ფულის სუროგატს - კუპონს. მისი არსებობის პერიოდის განმავლობაში 1993-დან 1995 წლამდე იგი \$1 712 კუპონიდან³ 1,300,000-მდე შემცირდა.

ამ მიმე პირობების მიუხედავად ანტრეპრენერულმა სულმა და მშვიდობამ მაინც გზა მისცა ეკონომიკის გარკვეულ გამოღვიძებას (განსაკუთრებით, დაწყებული 1995 წლიდან). 1994 წელს საქართველომ მიიღო ეკონომიკური ტრანსაქციებისთვის საჭირო ახალი კანონები, 1995 წელს ახალი კონსტიტუცია და შემდეგ ახალი ვალუტა - ლარი. საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი პარტნიორებით, განვითარების ახალი იდეებით და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ერთ-ერთი პირველი ეკონომიკა, რომელმაც საქართველოს მხრიდან საქონლის იმპორტზე მხარდ მოთხოვნას უპასუხა, იყო თურქეთის.


თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს პარტნიორი ხდება.

თურქეთი ერთადერთი ეკონომიკურად ჯანმრთელი ერი იყო 1990-იან წლებში, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა. მისი ეკონომიკური პოტენციალი 1990 წლიდან რადიკალურად გაიზარდა. იგი გახდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (1961 წლიდან) და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (1995 წლიდან) წევრი. საშუალო ეკონომიკური ზრდა 1990 წლიდან 2013 წლამდე 4.2 პროცენტი იყო, ხოლო მთლიანმა ეროვნულმა შემოსავალმა \$124.4 მილიარდიდან (დათვლილი მსოფლიო ბანკის მიერ ატლასის მეთოდით, მიმდინარე აშშ დოლარში) 821.7 მილიარდს მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ გაიზარდა 6.6-ჯერ, ანუ 560 პროცენტით⁴ (ამ დროს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა 1990 წელთან შედარებით მხოლოდ 35 პროცენტით გაიზარდა, იმავე მსოფლიო ბანკის ინფორმაციით). შემდეგ გრაფიკზე მკითხველს შეუძლია გაეცნოს თურქეთის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას ერთ მსახლეზე გადათვლით (ppp, მიმდინარე საერთაშორისო აშშ დოლარი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი)

³ კუპონი 1993 წლის 5 აპრილს გამოვიდა მიმოქცევაში და ჰქონდა იგივე მიმართება ჰქონდა აშშ დოლართან თავიდან, რაც რუსულ რუბლს ამ მომენტში. ეს ინფორმაცია აღებულია შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.kovalut.com/history/kurs-cb.php?valuta=usd&month=04&year=1993

⁴ World Bank Development Group

გრაფიკი B. მთლიანი ეროვნული შემოსავალი PPP, თურქეთი, 1990-2013, World Bank Group.



მსგავსი სასტატო პოზიციების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა ჩავარდა და მხოლოდ 2008 წელს აღდგა წინა დონეზე, იმ დროს, როდესაც თურქეთმა გააგრძელა ზრდა და ძალიან წარმატებული ორი დეკადა ჰქონდა.

ახალი კანონმდებლობის მიღებამ (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საბაჟო კანონები და სხვ.), მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შორს იყო იმისაგან, რომ დაეკმაყოფილებინა ინვესტორებისა და პარტნიორების ინტერესები, კარი გაუხსნა ვაჭრობას. თურქულმა და ქართულმა კომპანიებმა ბევრი მცდელობა განახორციელეს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული განსხვავების აღმოსაფხვრელად. საქართველოს მღაზიების თაროები (მრავალი წლის სიცარიელის შემდეგ) შეივსო უცხოური, უმეტესად კი თურქული წარმოშობის საქონლით.

თურქეთი და საქართველო მტკიცე ნაბიჯებით ახლოვდებიან.

თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი ერი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკვე 1991 წლის 16 დეკემბერს ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა; დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა 1992 წლის 21 მაისიდან.

პირველი სახელმწიფო, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მცდელობას, ახალი სახელმწიფო და ეკონომიკა შეექმნა (ან გაეგრძელებინა ადრინდელი), იყო მისი პირდაპირი მეზობელი თურქეთი. როგორც აღინიშნა, თურქეთის ლიდერებმა გამოიჩინეს ღიაობა საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განსავითარებლად; საქართველოს მხარესთან ერთად მათ ბევრი ნაბიჯი გადადგეს ამისკენ. ეგრეთწოდებულმა *ნულოვანი*

პრობლემის ურთიერთობამ, რამაც საფუძველი შეუქმნა მხარეებს შორის 76 სხვადასხვა შეთანხმებას, შესაძლებლობა გააჩინა ნებაყოფლობითი, ეფექტიანი, ღრმა და მეგობრული თანამშრომლობისთვის. ჩემი განზრახვაა ამ სტატიაში ამ თანამშრომლობის ზოგიერთი მიღწევის და იმ ბაზისის ილუსტრირება, რომელსაც იგი ეყრდნობოდა.

თურქულ ქართული ეკონომიკური ურთიერთობები

პირველი თურქულ-ქართული შეთანხმება ვაჭრობის შესახებ უკვე 1994 წლის მასში დაიდო *თანამშრომლობის შესახებ საბაჟო სფეროში*. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხარეთა შორის ვაჭრობას, რომელიც 1990-იან წლებში უკვე არსებითი ხასიათის იყო და თურქეთი 1995 წელს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა მთლიანი ვაჭრობის მოცულობის 20 პროცენტამდე დონით. 1990-იან წლებში მთლიან უცხოურ ბრუნვაში მისი 15 პროცენტის წილი შენარჩუნდა მომდევნო დეკადების განმავლობაშიც, რაც ორჯერ აღმატებოდა საქართველოს მეორე ყველაზე მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - უკრაინასთან ვაჭრობის წილს.


1995 წელს ორ ქვეყანას შორის 129 მილიონი აშშ დოლარის საქონლის მთლიანი ვაჭრობიდან ამ რიცხვმა 2014 წელს 2 მილიარდს მიაღწია. თავისუფალი ვაჭრობის და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებებმა 2007 წელს ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო დაახლოვა და ეფექტიანი გახადა. ცხრილი A. იძლევა ვაჭრობის სფეროში ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ახალ პარტნიორობისკენ გადანაცვლების კარგ ილუსტრაციას.

ცხრილი A. საქართველოს სავაჭრო ვაჭრობა 1995-2000 წლებში, USD1,000;საქსტატი.

ქვეყნები:	1995	1996	1997	1998	1999	2000
გერმანია	22,086	38,587	52,454	96,576	75,768	89,518
იტალია	12,819	40,481	48,482	39,311	31,587	32,884
გაერთიანებული სამეფო	15,446	42,989	47,233	63,984	27,259	33,728
სომხეთი	29,737	38,515	41,087	28,103	27,710	27,176
აზერბაიჯანი	61,986	103,915	140,936	92,280	89,461	75,997
რუსეთი	97,957	184,977	194,184	180,065	152,246	160,334
თურქმენეთი	47,790	18,095	19,688	11,015	40,691	23,919
უკრაინა	13,792	44,461	64,184	37,353	40,711	46,347
შვეიცარია	8,516	18,076	23,025	37,967	17,551	36,444
თურქეთი	127,142	108,301	159,252	119,687	116,762	185,889
აშშ	43,932	60,506	106,757	91,811	89,636	76,706

გრაფიკი C გვიჩვენებს საქართველოს საგარეო ვაჭრობას და მასში თურქეთის მნიშვნელოვან როლს (საქსტატი, 1,000 აშშ \$).

გრაფიკი C. საქართველოს სავაჭრო ტენდენციები, 1,000 აშშ დოლარი, 1995-2014, საქსტატი.



შემდეგი ცხრილი კი აანალიზებს საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქვეყნების გაერთიანებთან ვაჭრობის წილს (საქსტატი, 1,000 აშშ \$).

სავაჭრო პარტნიორები	2010	2011	2012	2013	2014
მთლიანი ვაჭრობა	6,934,594	9,225,154	10,413,054	10,921,110	11,453,996
ევროპის კავშირი	1,780,193	2,476,817	2,781,466	2,870,770	2,993,781
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	2,264,291	2,975,888	3,291,464	3,794,008	3,589,502
რუსეთი	325,242	424,515	523,294	774,020	850,119
თურქეთი	1,103,494	1,502,875	1,608,914	1,592,726	1,966,687

მთლიანი ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის განხილულ ორ დეკადაში 13.6 მილიარდ აშშ დოლარს აღემატებოდა, რაც ცოტათი ნაკლებია ვიდრე საქართველოს ამჟამინდელი მთლიანი შიგა პროდუქტი. თურქეთისკენ ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო: ელექტროენერგია, ლითონები, სასუქები, ტანსაცმელი, თევზი და ავტომობილები; ამავდროულად, მთავარ იმპორტს თურქეთიდან წარმოადგენდა ლითონები, ფარმაცევტული საქონელი, ავეჯი, ქაღალდი, კაბელები და სხვა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2014)

ცხრილი C წარმოგვიდგენს, თუ როგორ ნაწილდებოდა საქართველოს ექსპორტი თურქეთში ზოგიერთი მნიშვნელოვანი სექტორის მიხედვით ბოლო 6 წლის განმავლობაში.

ცხრილი C. საქართველოს ექსპორტი თურქეთში, 2009-2014, 1,000 აშშ დოლარი, საქსტატი.

ექსპორტის ზოგიერთი მიმართულება	წლები					
	2009	2010	2011	2012	2013	2014
სასუქები, მინერალები ან ქიმიკატები ნიტროგენით	3,204	18,538	19,150	2,322	31,388	51,662
მაისურები, სხვა ტექსტილი და ქსოვილები	1,600	5,174	6,355	11,920	20,963	36,404
მზა ნახშირბადიანი ფოლადი	-	-	-	1,216	32,439	32,295
ელექტროენერჯია	6,873	10,415	12,313	5,254	-	16,919
ხორცის, თევზისა და კიბორჩხალის ფხვნილი და გრანულები	365	2,666	1,855	645	12,884	15,094
ფეროშენადნობები	81,508	24,717	50,502	18,069	5,269	10,946
მთლიანი ექსპორტი თურქეთში	225,769	216,799	226,388	140,089	183,796	239,296

შემდეგი ცხრილი კი აჩვენებს იმავე პერიოდში იმპორტის ყველაზე მნიშვნელოვან სექტორებს თურქეთიდან.

ცხრილი D. იმპორტი თურქეთიდან, შერჩეულ სექტორებში, 2009-2014, 1,000 აშშ დოლარი, საქსტატი.

იმპორტი თურქეთიდან	2009	2010	2011	2012	2013	2014
ფარმაცევტული საქონელი	25,926	38,124	33,929	33,942	52,193	71,053
რკინის და ფოლადის სამშენებლო მასალები	10,884	19,511	42,805	43,196	36,706	43,477
პლასტიკის, პოლიმერის და პროპილენის მილები და სხვა მასალები	13,944	23,847	35,432	44,804	32,654	33,389
ჰიგიენური და ტუალეტის ნივთები	18,759	22,782	26,300	27,281	32,957	37,330
თუჯის მილები და პროფილები	10,983	14,679	22,362	31,097	27,561	40,300
იზოლირებული მავთულები და კაბელები	7,657	12,965	28,917	36,626	27,374	37,202
თურქეთის მთლიანი იმპორტი საქართველოში	787,885	886,694	1,276,488	1,468,825	1,408,931	1,727,391

თურქული პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ასევე, თურქეთის როლი საქართველოში უცხოურ ინვესტიციებში. შემდეგი ცხრილი (წყარო, თურქეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში) გვთავაზობს ამ ინვესტიციების სტატისტიკას 2008-დან 2014 წლამდე:

ცხრილი E. ინვესტიციები საქართველოში, 2008-2014 (მლნ აშშ დოლარი; თურქეთის საელჩოს ინფორმაცია).

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
სულ	1,564	658	814	1,117	912	942	1,758
ევროკავშირი	476	224	248	554	440	391	820
დსთ	95	1	91	193	87	132	448
ჩინეთი	-2	-2	-8	10	36	90	218
აშშ	168	-10	136	28	20	45	182
თურქეთი	165	98	92	75	81	43	63
სხვა	662	347	255	453	248	241	27

მთლიანი ინვესტირებული თურქული კაპიტალი 2001-2014 წლებში იყო დაახლოებით 931 მილიონი აშშ დოლარი. ქართველი ემიგრანტების ფულად გადმორიცხვებთან ერთად მთლიანი თურქული მონაწილეობა ქართულ ეკონომიკაში ამ პერიოდში ადვილად აჭარბებს 1.2 მილიარდ აშშ დოლარს; ასეთი გადმორიცხვები ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით 2000-2014 წლებში აჭარბებდა 355 მილიონ აშშ დოლარს.

ცხრილი F უფრო დეტალურად აღწერს თურქულ პირდაპირ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში:

ცხრილი F. თურქული პირდაპირი ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის რჩეულ სექტორებში, 2008-2014, 1,000 აშშ დოლარი; საქსტატი.

ინვესტიციების სექტორები	წლები						
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
აგრარული და მეთევზეობის სექტორები	8,115	-402	-340	-553	5	23	137
ინდუსტრიები	936	9,534	3,157	5,472	1,567	16,626	11,353
ენერჯის მიწოდება	-	8,000	22,960	4,512	21,295	10,724	1,155
მშენებლობა	9,400	9,625	6,956	18,884	4,333	15,878	5,361
სასტუმროები და რესტორნები	13,247	8,865	-963	-1,221	2,150	15,795	3,070
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	64,678	51,149	31,889	24,887	4,131	9,788	40,380
უმრავი ქონება	-46	1,362	1,762	2,175	377	5,739	1,095
ფინანსური სექტორი	222	283	391	8,128	-226	75	776
სხვა სექტორები	1,387	3,372	9,712	18,781	9,125	9,773	4,197
მთლიანი თურქული პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	97,940	91,787	75,524	81,060	42,758	63,110	67,540

ძალიან შთამბეჭდავია ასევე თურქული და თურქულ-ქართული ერთობლივი კომპანიების რაოდენობა საქართველოში, რომელიც მუდმივად იზრდებოდა და გადააჭარბა 3,200-ს (საქსტატის ინფორმაცია)

ადამიანების ურთიერთობები


ვიზიტორთა რაოდენობამ თურქეთიდან საქართველოში 2005-2014 წლებში 7 მილიონს მიაღწია (იხილეთ გრაფიკი D ქვემოთ). ეს არის შედეგი ორ ერს შორის ძალიან ინტენსიური და ეფექტიანი თანამშრომლობის და გადაწყვეტილებებისა, რომელიც 2006 წლის თებერვალში დამთავრდა ორმხრივი შეთანხმებით ორი ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების მიცემით⁵. შემდეგი უპრეცედენტო შეთანხმება უკვე 2011 წლის ნოემბერში ორი ქვეყნის მთავრობას შორის უფლებას აძლევს ორი ქვეყნის მოქალაქეებს საიდენტიფიკაციო ბარათით შევიდნენ ერთმანეთის ტერიტორიაზე.

2012 წელს მთავრობები შეთანხმდნენ 273 კილომეტრიან საერთო სახმელეთო საზღვარზე 4 სასაზღვრო გამშვები პუნქტის შექმნის შესახებ. კერძოდ, სარფში და ახალციხეში (ფოსოფი), რომლებიც ადრეც მუშაობდა და ახალი პუნქტები კარწახში (ჩილდირი) და მარადიდში (მურათლი).

ამ პოლიტიკას არსებითი გავლენა ჰქონდა თურქეთიდან საქართველოში ვიზიტორთა რიცხვზე, რაც კარგადაა ნაჩვენები გრაფიკზე D.

გრაფიკი D: თურქი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში, 2005-2014, და 2015 წლის 9 თვე, საქსტატი.

თურქი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში



შემდეგი ცხრილი კი წარმოგვიდგენს ქართველი ვიზიტორების რიცხვის დინამიკას თურქეთში. განსაკუთრებით საინტერესოა ეს მოგზაურობის ლიბერალიზაციის შემდეგ, Turkstat⁶.

⁵ წყარო: www.und.org.tr/tr/7846/turkiye-gurcistan-vize-anlasmasin-da-degisiklik

⁶ Turkish Statistics Unstitute: www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist

ცხირილი G. საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც გაემგზავრნენ თურქეთიდან, ათასი, Turkstat.

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
თურქეთიდან გამგზავრებული ადამიანების რიცხვი	23,149	27,215	30,980	31,972	33,028	36,151	36,464	39,226	41,415
თურქეთიდან გამგზავრებული საქართველოს მოქალაქეები	531	609	811	974	1,084	1,131	1,365	1,733	1,718
საქართველოს მოქალაქეების რიცხვის წილი	2.3%	2.2%	2.6%	3.0%	3.3%	3.1%	3.7%	4.4%	4.1%

ძალიან ეფექტიანია ორ ქვეყანას შორის საზღვრის გადაკვეთის სისტემა, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედებს; ამან მკვეთრად შეამცირა პროცედურების რაოდენობა და დრო, რომელიც საჭიროა მოგზაურისთვის და საქონლისთვის საზღვრის გადასაკვეთად სარფში (ფოტოზე ქვემოთ, სარფის სასაზღვრო კონტროლის ოფისი, ავტორის ფოტო)

ფოტო: სარფის საზღვრის ოფისი.



საგანმანათლებლო გაცვლამ ასევე საინტერესო შედეგებს მიაღწია. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი აქვეყნებს მონაცემს 3,561 სტუდენტის შესახებ, რომლებიც ორივე მხრიდან სწავლობდნენ ერთ ან მეორე ქვეყანაში 15 წლის განმავლობაში 2000-დან 2014 წლის ჩათვლით.

ცხრილი H. ქართველი სტუდენტების რაოდენობა თურქეთში და თურქი სტუდენტები საქართველოში, 2000-2014, საკსტატი.

სასწავლო წლები	ქართველები, რომლებიც სწავლობენ თურქეთში	თურქი სტუდენტები საქართველოში
2000/2001	92	87
2001/2002	67	52
2002/2003	103	47
2003/2004	118	31
2004/2005	86	83
2005/2006	116	83
2006/2007	3	250
2007/2008	8	220
2008/2009	114	106
2009/2010	4	140
2011/2012	28	330
2012/2013	22	384
2013/2014	94	373
2014/2015	28	492
სულ:	883	2,678

ძალიან დიდი დახმარება იყო საქართველოს მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღება თურქულ კლინიკებში. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებული წერილის მიხედვით⁷, 2012 წელს ქართველი ვიზიტორები ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებოდნენ:

- სპორტი, სანახაობა, კულტურა - 40.6 %
- ნათესავების მონახულება - 39.0 %
- განათლება - 0.5 %
- ჯანდაცვა - 0.9%
- საყიდლები - 13.8 %
- ტრანზიტი - 1.9 %
- ბიზნესი (კონფერენციების, სემინარების სხვ. ჩათვლით) - 3.8 %

ჯანდაცვის ვიზიტორთა წილი 0.9 პროცენტი იყო; იგივე წერილი აჩვენებს, რომ ქართველ ვიზიტორთა საერთო რაოდენობა 2012 წელს იყო 1.4 მილიონი; ეს ნიშნავს, რომ ქართველი სამედიცინო ტურისტების რაოდენობა აღემატებოდა

⁷ Türkiye İstatistik Kurumu Başkanlığı, Basım ve Halkla İlişkiler Müşavirliği, www.tuik.gov.tr/basinOdasi/Tekzipler/Tekzip_04042013.pdf

12,500-ს. საქართველო იყო ერთ-ერთი ლიდერი თურქულ ტურიზმში 3.7 პროცენტის წილით 36 მილიონ ტურისტს შორის (გერმანიის, რუსეთის ფედერაციისა და ბულგარეთის შემდეგ).

მრავალეროვანი, ინფრასტრუქტურული, ენერჯის და ტრანსპორტის პროექტები

მეგობრული ერები ასევე ერთად მუშაობდნენ მრავალმხრივ პროექტებში. აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო (დასავლურ მთავრობებთან და ნავთობის კომპანიებთან ერთად) თანამშრომლობენ ენერჯეტიკის და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის და სამხრეთ კავკასიის (შაჰ-დენიზის) ბუნებრივი გაზის მილსადენებმა, რომლებიც აშენდა და მოქმედებაშია 2006 წლიდან, რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატი მთლიანად შეცვალა და იგი სერიოზულ გლობალურ პარტნიორად აქცია. მისი გახსნიდან ბაქო-ჯეიჰანის (1,760 კმ) მილსადენმა უკვე 298 მილ ტონა ნავთობი გადატვირთა კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვის ჯეიჰანის პორტამდე (ბრიტიშ ფეთროლეუმის ვებ-საიტის ინფორმაცია). შაჰ-დენიზის მილსადენს (692 კმ) 8.8 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გამტარობა აქვს და რეგიონისა და მის ფარგლებს გარეთ ენერჯეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან საშუალებად გადაიქცა. თურქული ინვესტიცია ქართული ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურაში 2009-2014 წლებში 46 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ამავე სამი ქვეყნის 2003 წლის შეთანხმებით 2015 წელს უნდა დასრულდეს ბაქოსა და ყარსს შორის რკინიგზის ხაზის მშენებლობა თბილისის გავლით. ამ რკინიგზის დატვირთვამ შესაძლოა მიაღწიოს 1 მილიონ მგზავრს და 17 მილიონ ტონა ტვირთს, რამაც უნდა კიდევ უფრო გააუმჯობესოს თანამშრომლობა და მშვიდობა რეგიონში. სწორედ ამ ახალი რკინიგზის მარშრუტია გამოხატული ქართულ საფოსტო მარკაზე მარჯვნივ.



დასკვნა

დამოუკიდებელი საქართველო 1990-იანი წლების ღრმა კრიზისის მახეში გაება, რომელმაც მისი ეკონომიკა თითქმის მთლიანად გაანადგურა. საქართველოს ჭირდებოდა უკიდურესი ფსკერიდან აღდგენა. ამ კრიტიკულ

მომენტში მას ახალი პარტნიორები, ახალი იდეები და კაპიტალის ინექციის მოთხოვნა ჰქონდა.

თურქეთმა, მისმა მთავრობამ და ხალხმა, არ დაელოდნენ რა მოპატიჟებას, არ დაჭირდათ არც ახსნა და არც განხილვა, უმალ დაამყარეს საქართველოსთან ღრმა ურთიერთობები. ორმხრივი თანამშრომლობა სწრაფად განვითარდა და ადვილად ლახავდა ნებისმიერ ბარიერებს გასაგები საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველომ მიიღო საუკეთესო მეზობელი და პარტნიორი, შექმნა ყველაზე ინტენსიური სავაჭრო პარტნიორობა, რომელიც სწრაფად დაეხმარა ქვეყანას არსებობისთვის საჭირო საქონლის (საკვების ჩათვლით) მიწოდების პრობლემების აღმოფხვრაში.

საქართველომ ახალი ცხოვრება დაიწყო კონკურენტულ მსოფლიოში, რომელიც გაცილებით უფრო რთული იქნებოდა ისეთი პარტნიორების გარეშე, როგორც თურქეთი, ევროკავშირი და აშშ არიან. მათ თითქმის მთლიანად ჩაანაცვლეს ძველი საბჭოთა იმულებითი ურთიერთობა და ითამაშეს გადამწყვეტი როლი ახალი ქართული სახელმწიფოს ხელახლა დაბადებასა და მდგრადობაში. სწორედ ამ მხარდაჭერით დაბრუნდა საქართველო მსოფლიო არენაზე და იპოვა საკუთარი ადგილი მასში.

თურქულ-ქართული ურთიერთობა, ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის შემდეგ, ნებაყოფლობითი თანამშრომლობის შესაძლებლობის შესანიშნავი დადასტურებაა. იგი ყველა ბარიერის გაუქმების, საერთო ინტერესებისკენ სწრაფვის, საერთო მიზნების გაგების და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მათ მისაღწევად ეფექტიანად მუშაობის საუკეთესო მაგალითია. საქართველო არასდროს დაივიწყებს თურქეთის მთავარ როლს მისი პრობლემების გადაჭრაში მხარდაჭერსათვის. ეს თანამშრომლობა კარგი გაკვეთილია, როგორ შეიძლება გადაილახოს ყველანაირი ბარიერი ღიაობის, თავისუფალი ნების და პატივისცემის საფუძველზე.